სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

ოლიმპი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
საშუალათი
11
დეკემბერი
№148 (10385)
ფასი 8 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ - პოლიტიკური გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქალაქის ხვალინდელი დღე

(საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი ქ. ზუგდიდის სოციალურ-ეკონომიკური გაჯანმრთელების შესახებ)

მიმდინარე წლის 5 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა მისი თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, განიხილეს ამ ეტაპზე რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე აქტუალური საკითხები, რომელთა გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული, როგორც მისი ცალკეული რეგიონების, ისე მთლიანად საქართველოს კეთილდღეობა.

ბევრ სხვა სადღეისო აქტუალურ პრობლემებთან ერთად რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი უახლოეს პერიოდში ქალაქ ზუგდიდის სოციალ-ეკონომიკური განვითარების შესახებ.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" 7 დეკემბრის წმრის პირველ გვერდზე რუბრიკით „მთავრობის მოამბე" აქვეყნებს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი საკითხების მოკლე მიმოხილვას.

„სპეციალისტთა პროგნოზებით,—ნათქვამია მიმოხილვაში,—უახლოეს ხუთ წელიწადში ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობა ხუთი ათასით გაიზრდება და 63 ათასს მიაღწევს, 2010 წლისათვის კი 60 ათასამდე მოიმატებს. შესაბამისად გადიდდება ქალაქის განაშენიანებისათვის გამოყოფილი ფართობები. ყოველ მის მცხოვრებზე საერთო საცხოვრებელი ფართობის უზრუნველყოფის ნორმა 1995 წელს შეადგენს 15 კვადრატულ მეტრს, 2010 წლისათვის კი 18 კვადრატულ მეტრს.

ეს მონაცემები აღებულია ქალაქ ზუგდიდის განვითარების გენერალური გეგმიდან, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს პრეზიდიუმის სხდომაზე. „საქსახლქალაქმშენის" ინსტიტუტის მიერ შემუშავებული და საქართველოს სახმშენთან არსებული არქიტექტურისა და საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტთან. ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან, რესპუბლიკის ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან შეთანხმებული ეს გეგმა ნათლად მოწმობს რესპუბლიკური დაქვემდებარების ამ ქალაქისა და რაიონული ცენტრის მომავალს. გენერალური გეგმა ითვალისწინებს ქალაქის თანმიმდევრულ ორ ეტაპად— ეკონომიკურად დასაბუთებულ განვითარებას, მის განაშენიანებასა და კეთილმოწყობას, მისი ნორმალური სიცოცხლის უზრუნველყოფის პრაქტიკულად ყველა პრობლემის გადაჭრას. აქ გათვალისწინებულია ეკოლოგიურად „ჭუჭყიანი" საწარმოების გადატანაც ქალაქგარეთ, რათა იქ შეიქმნას სამრეწველო ზონები, აგრეთვე შემოსავლელი გზების გაუვანა და საზოგადოებრივი ცენტრის რეკონსტრუქცია.

ქალაქ ზუგდიდის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ეს გეგმა რომელიც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა, იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ უახლოეს პერიოდში დაკმაყოფილებულ იქნას ზუგდიდელ მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილება საცხოვრებელი ფართით. „ჭუჭყიანი" საწარმოების გადატანა ქალაქგარეთ უზრუნველყოფს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის სრულ გაჯანსაღებას.

საქართველოს რესპუბლიკის საბალხო-დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, მრგვალი მაგიდის აღგილობრივ ორგანიზაციებს, დეპუტატთა რაიონულ კომისიებს

როგორც რძის მრეწველობის რესპუბლიკური საწარმოთა გაერთიანება გვაუწყებს, საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით რესპუბლიკას შეუმცირდა მშრალი რძის ფხვნილის მოწოდება, რის გამოც ქ. თბილისსა და სამრეწველო ცენტრებში შეიქმნა მწვავე დეფიციტი მოსახლეობის რძის პროდუქტებით მომარაგებაში.

ასეთი მწვავე დეფიციტი გამოიწვია აგრეთვე იმან, რომ რესპუბლიკის რაიონები არ ასრულებენ მთავრობის დავალებას ნატურალური რძის ნედლეულის საწარმოებში ჩაბარების შესახებ. ამასთან, რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში შეიმჩნევა როგორც წეურნლობებისა და კოლმეურნეობების, ასევე საოჯახო ორგანიზაციების მიერ რძის რესურსების განაკვეთისა და ყოველგვარი გაბრიგის გარეშე პროდუქციის გაცემის ტენდენცია.

ყოველივე ეს შეიძლება ნიადაგ ვალოს წინასწარგანზრახულ საბოტაჟად ახალი პარლამენტისა და ხელისუფლების მიმართ, ხალხის ინტერესების საზიანოდ.

მოვითხოვთ, ამ საქმეში სტაბილურობის მიღწევის მიზნით დეტალურად დაადგინოთ შეურნეობებში ნედლეულის რესურსების რეალური რაოდენობა, მიიღოთ კონკრეტული ზომები მათი ჩაბარებისათვის და გვაცნობოთ ამ ორგანიზაციების შესახებ, რომლებშიც გამოვლინდება რესურსების განაკვეთების შემთხვევები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციამი

მიმდინარე წლის 3 აგვისტოდან, ანუ საბოლოო ჩამოყალიბების დღიდან, საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები მის წინაშე დასახული პირველი ეტაპის რთული, არაერთგვაროვანი ამოცანების გადასაჭრელად.

მიღწეულია საკავშირო პროფორგანოსაგან ორგანიზაციული და ფინანსური დამოუკიდებლობა, იგი განთავისუფლდა სახელმწიფო მართველობითი ორგანოების გავლენისაგან, აღმავლობით მიმდინარეობს სრული დეპარტიზაციის კურსი.

საქართველოს საკუთრების გაწეუოფელ ნაწილად—საქართველოს პროფკავშირების კუთვნილებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო კეთილნილებად აღიარებული პროფკავშირული ობიექტები და დაწესებულებები.

საფუძველი ეყრება საქართველოს ხელისუფლებებთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვისა და საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების საქმეში.

ზემოაღნიშნულის საბოლოო დამკვიდრებისა და გაღრმავების აუცილებელი პირობაა საქართველოს პროფმოძრაობაში ერთიანობის შენარჩუნება, სოდიდარობის პრინციპების გათვისება საქართველოს ყველა მშრომელის მიერ, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური რწმენის მიუხედავად.

სწორედ ამ ეგიდით გაიმართება საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის საბჭოს სხდომა დეკემბრის მესამე დეკადაში.

საბჭოს სხდომა შეაჯამებს გაწეულ მუშაობას და დასახავს სამომავლო ამოცანებს. განიხილავს კონფედერაციაში ახალი წევრების მიღების, პროფკავშირების საკუთრების მოვლა-პატრონობის, მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვისა და სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის მართვის, რესპუბლიკის მთავრობასთან ხელშეკრულების საკითხებს, დასახავს საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების ღონისძიებებს.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციამ მიმართა საქართველოს პროფორგანიზაციებს, მშრომელებს თხოვნით, მიაწოდონ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთა ირგვლივ თავიანთი წინადადებები შესაბამის პროფორგანოებს-კონფედერაციის წევრ ორგანიზაციებს, კონფედერაციას.

ხს „საქართველო"

საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობა

7 დეკემბერს თბილისში მუშაობა განაახლა საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობამ. ყრილობის ეტაპის დამთავრების შემდეგ განკლილ შვიდ თვეში მისი 61 დელეგატი სხვადასხვა მიზეზით გავიდა კომუნისტური პარტიის რიგებიდან. სამანდატო კომისიის წინადადებით ყრილობამ გაიაქმა მათი მანდატები. ამრიგად, ყრილობის დელეგატთა რიცხვმა შეადგინა 666 კაცი, რომელთაგან ყრილობას ესწრებოდა 431.

ყრილობის მეორე ეტაპის დაწყების წინ განცხადება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გივი გუმბარიძემ, რომელმაც ითხოვა გათავისუფლონ იგი დაკავებული თანამდებობიდან.

ყრილობამ დაამყოფილა ეს თხოვნა.

მუშაობის წესის დამტკიცების შემდეგ დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე კანდიდატურათა დასახელებები. დასახელებული იყვნენ: ვიოლეტა შარტავა, ავთანდილ მარგიანი, ალექსანდრე კავსაძე, როინ მეტრეველი, ავთანდილ საყვარელიძე, გივი გუმბარიძე, თეიმურაზ შაშიაშვილი.

თვითაცილების შემდეგ და განხილვის შედეგად ფარული კენჭისყრისათვის ბიულეტენში შეტანილი იყვნენ ავთანდილ მარგიანი, ალექსანდრე კავსაძე, ავთანდილ საყვარელიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია 45 წლის ინჟინერ-ტექნოლოგი ავთანდილ მარგიანი — საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი, გარდაბნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

8 დეკემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის 28-ე ყრილობამ განაგრძო მუშაობა. ყრილობის დილის სხდომის გახსნისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ავთანდილ მარგიანმა წინადადება წამოაყენა აირჩიონ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი. მანვე დაასახელა გიორგი ჩუბინიშვილის —ყოფილი პარტიული მუშაკის, აზეკადკი საქართველოს სახალხო რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების „საწყალქსპლუატაციის" უფროსის მოადგილის კანდიდატურა, რომელიც ყრილობამ დია კენჭისყრით აირჩია ამ პოსტზე.

შემდეგ დელეგატები შეუდგნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების, მისი პროგრამიანი დებულების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის დებულების პროექტების განხილვას.

ყრილობამ მიიღო საქართველოს კომუნისტური პარტიის წესდება, რომლის თანახმად იგი ამიერიდან არის საკუთარი პროგრამიანი და წესდების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ფარგლებში მოქმედი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია.

მიიღეს გადაწყვეტილება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში განიხილონ წინადადებანი საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის სიმბოლიკის—მისი გერბის, დროშის, ჰიმნისა და დევიზის პროექტების შესახებ და წარმოუდგინონ ისინი საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს შემდგომი დამტკიცებისათვის.

რაც შეეხება დამოუკიდებელი საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამას, გადაწყდა [illegible] ყრილობისაგან წარდგენილი მისი პროექტი, შეიტანოთ მასში დამატებანი, რათა შეძლონ დამტკიცონ რესპუბლიკურ პარტიულ კონფერენციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღვუზარდოთ ქვეყანას ჭეშმარიტი მოქალაქეები

მდელვარე! დღეები ხაჭართველოში. ირგვლივ პრობლემების ზღვა თუხთუხებს, პობოკრობს ათეული წლების განმავლობაში დაზიანებული, ივარქმსილი, ბუნებრივი დინებიდან ამოვარდნილი ცხოვრების რეალიები, ანროვნებისა და მოქმედების წესი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ყველან და თითოეულმა უნდა შეძლოთ ჩვენს არსებაში დალექილი დოგმების და შტამპების, ძველული ცნებებისა და ფანტაზიორობების გაქარწყლება. სხვა სფეროებთან ერთად გარდასაქმელია ეროვნული სკოლა, სადაც მოზარდების სულიერი დაკვალიანება ხდება. განა განმეორების საჭიროა ის გარემოება, რომ დღეიდან მოქმედი სასწავლო-აღზრდის დელი სისტემა, დაუფარავად საბჭოურ პედაგოგიკურ ქანერებსა და ათასი ჯურის კონიუნქტურულ კლიშეებზე, ძარეულად გადასაკეთებელია?

ეროვნული სკოლის საინდო დასაყრდენად უნდა იქცნენ ჩვენი პედაგოგები, რომლებიც სისტემაში დაჩაგვრებული ავტორიტარული სტილის მიუხედავად, მტკიცედ ფლობენ და უფრთხილდებიან სულში დაკანონებულ მარადიულ განძს: ბავშვების სიყვარულს და სამშობლოთვის ფანგარო მსახურების გრძნობას. მათ წინაშე დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანეს აყენებს განახლების ნარ-ეკლიან გზაზე შემდგარი ხაჭართველო. ასაღორძინებელია გოგებაშვილის, ბოცვაძის და სხვა ჭეშმარიტი პედაგოგების იდეური მემკვიდრეობა. ახლებური გაჭანება უნდა მივეცეთ პედაგოგიკის ნოვატორულ მეთოდოლოგიას, გამდიდრებულს ევროპიზებული ქვეყნების ახალი მიღწევებით.

ალბათ დღეს არის ყველაზე მეტად საჭირო და აუცილებელი ყმაწვილებისა ხაყოველთაო, ტლანქ პრინციპების დაძლევა. წარსულს უნდა ჩაბარდეს ზეიდან დიქტატის პრაქტიკა, როცა თავს ანვევდნენ მასწავლებლები თუ ამ დისციპლინის, ანდენდნენ მასში ინდივიდუალური ნიშნების მოშლას, ფაქტიურად პიროვნების წიველირებას.

„მასწავლებელი კი' არ მიდის ხაგნით ბავშვთან, არამედ ბავშვი და მასწავლებელი ხელიხელჩაკიდებულნი ერთად უნდა მივიდნენ საგანთან". ეს საოცრად ტევადი ფორმულა ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს თანამშრომლობის პედაგოგიკისა, რომელსაც ჩვენი მასწავლებლები უნდა ფლობდნენ.

ახლა, როგორც არასდროს, უნდა დაძლიოს. დროა წერტილი დაესვას ახალი თაობის იდეურ-ზნეობრივ აღზრდაში ყალბი, უკუღმართი მიმართულებების კულტივირებას.

ეროვნული სკოლის ფორმირების რთულ და მრავალსახა პროცესს მთელი საზოგადოების, უპირველეს ყოვლისა, შეუფების თანადგომა ხვირდება. სკოლებს არ ყოფნით ლაბორატორიული და ხედვითი ინტრაციული მოწყობილობანი, დაზგები, დიაპოზიტივები, კომპიუტერები. ახლებური გაჭანება, ნამდვილ პროფესიონალურ დონეზე მჭრთა ხვირდება პროფილირებულ სწავლებას. ამ მხრივ გარკვეული დადებითი გამოცდილება აქვთ ქალაქი ბირველ და მეორე საშუალო სკოლებს, რუხის, კახათის და ზოგიერთ სხვა სკოლას. უდაოდ კარგი საქმე გაკეთდა ზუგდიდში ეროვნული სკოლის გახსნით, რომელსაც ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი.

მასწავლებლების ყურადღებას მივაქცევთ ერთერთ უმტკივნეულეს საკითხს. ეს არის სკოლისა და მშობლების ურთიერთმიმართება. ამ უკანასკნელთა პედაგოგიზაციამ დღევანდელობის შესაფერისი სახე და შინაარსი უნდა შეიძინოს. უნდა ვიხსნათ შვილები მშობლების ზედმეტი მეურვეობისაგან, როცა მათი საზომაელი გზების არჩევა მოზარდის შინაგანი ინტერესებისა და უნარის ავტორიტეტების ხარჯზე ხდება. ერთიანი კონტროლი და ძალისხმევა ხვირდება განსაკუთრებით ძნელად სამართავ ბავშვებს. არასრულწლოვანთა დანაშაულობებს მნიშვნელოვნად განაპირობებს ის, რომ მათ თვალი, ხელი და ფული აკლიათ ოჯახისაგან, სკოლისაგან, კლასის დამრიგებლისაგან, საზოგადოებრივი აღზრდელისაგან.

თქვენ, უპირველეს ყოვლისა თქვენ გიპარიათ ხელი ახალი თაობის ხული და ხსეული, ძვირფასი მასწავლებლებო. გიჭირიათ ხაოცრად ნელი მასალა, რომელშიც უკვე ამოვითვე ოცდამეერთე ხაუკუნის მოქალაქის უსათუოესი ყლორტები.

მოუარეთ, გაუფრთხილდით ამ ყლორტებს.

„ᲠᲐᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲘᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲑᲔᲠᲢᲧᲘᲐ"...

ᲐᲜᲣ ᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲐᲒᲓᲔᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ

გაზეთ „ოდიშის" მიმდინარე წლის 29 ნოემბრის № 148-ში გამოქვეყნდა მიმართვა თუ განცხადება (უკეთ ალბათ ავტორმიაცის) ზუგდიდის ხალალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარისა ლი ქალაქში შაქრის ვაჭრობაში არსებული მდგომარეობისა და მისი უბნების მიხედვით განაწილების წესის შესახებ. როგორც ირკვევა, ბატონ ა. ტუღუშის მიერ წამოყენებული წინადადება შაქრის განაწილების წესის შესახებ აღმასკომს არ გაუთვალისწინებია „ყურიც არ შეუბერტყია" (თუმცა მისივე მტკიცებით მას „აღმოუჩენია უმარტივესი რამ" ამ პრობლემის გადაწყვეტისა).

ბატონ ტუღუშს და ქალაქის მოსახლეობას გვინდა განვუმარტოთ: ჩვენ ძალიან კარგად გვესმის რომ უკეთესია შაქარი გ-ნაწილდეს უბნების მიხედვით, მაგრამ მისი განაწილების ამჟამად მოქმედი წესის შემოღება ბევრმა ობიექტურმა ფაქტორმა განაპირობა: ჯერ ერთი, არ არის უზრუნველყოფილი შაქრის რაოდენობა მოწოდება, ხშირია შემთხვევა, როცა 100 ტონის ნაცვლად თვის დასაწყისში ვღებულობთ 30-40 ტონას, დაბარჩენი კი სხვა დროს შემოდის, რაც ქმნის ხაძნელებს მის განაწილებაში. მე არ—როდესაც ჩვენ განაწილების ეს წესი შემოვიღეთ, გავითვალისწინეთ შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მოთხოვნაც, რომ შაქარი შეგვეზიდა და გაგვეყიდა უშუალოდ საწარმოებში. მეხანე—ჩვენ გავითვალისწინეთ სხვა ქალაქების კამოცდილებაც, მეოთხე—არც ისე ცოტა მუშაობა ხვირდება იმას, რომ შეიდგინო 50 ათასიანი ქალაქის სია და გაკეთდეს მის კიბეზე ცალკეულ ობიექტებზე, თუმცა ეს შეუძლებელი არ არის და ჩვენ პრინციპული წინააღმდეგი არა ვართ მომავალში ეს ასე გაკეთდეს, თუ ამას მოსახლეობა და შრომითი კოლექტივები მოითხოვენ. და ეს საკითხი ალბათ მოგვარდება, თუ მივიღეთ შაქრის რაოდენობა მოწოდების, ბაგრამ დღეს სხვა მხარეზეც გვინდა ყურადღება მოდით, ბატონო ბესალომ! ეგზალტირებულ და მუქარით ნუ ველაპარაკებით ეს თანამენეთს, ნუ ბრალობა კაბშეს, მიანდამანც ჩვენი აზრია ერთიდერთი, სწორი და სამართლიანი.

თქვენ არ გეკადრებათ, ძეკარამ ზოგიერთებს ბალ ლი თანაწდებობის პირებისადმი ასეთი მიმართებით ბგონიათ საჭირო ჭულებს „აგროვებენ", ხდება კი პირიქით.

ამასთან მინდა ვთქვა მოსახლეობას რომ ხაქალაქო სამეურნეო აღმასკომი ცდილობს მომავალ წელს გაცვლითი ოპერაციების მეშვეობით დამატებით შეიძინოს შაქარი. წინასწარ ძნელი სათქმელია თუ რას მივიღწევთ, მაგრამ ინიციატივას და მონდომებას არ დავაკლეთ.

პატივისცემით ბ. იზორია.

ᲨᲔᲘᲪᲐᲜ, ᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲜᲘ

ლორძინების გზაზე შემდგარი ჩვენი ხალხი ცხოვრობს და ზრუნავს ხვალინდელი დღის იმედით. ადამიანების არსებაში დევის იმის რწმენა, რომ ახლის შენების გზაზე თავჩენილ ყოველგვარ წინაღობებს დაეძლევთ, შინაგან მხნეობას შეინარჩუნებთ და ხაკუთარ ძალებსა და სიმართლეში დარწმუნებულნი წინ გაეწევთ.

მაგრამ ერთი მომენტი ყველამ უნდა გავიცნობიეროთ. განახლება არ მოხდება ზნეობრივი აღორძინების გარეშე. ისევ და ისევ უნდა ვესწრაფოდეთ თვითგანწმენდის გზას.

ადამიანის ზნეობრივი მოვალეობის ძიების სფეროში ერთგვარ გზამკვლევად გამოგვადგება დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის მოსაზრებანი, რომლებიც გადმოცემულია ალაგზარდობისადმი მის მიმართვაში.

მკითხველებს გთავაზობთ ამ ბანაკის უმაღლესი დანიშნულება იყოს არსებული საზოგადოების გარდაქმნა ყოველგვარი საშუალებების გამოყენებით. არ დაიჯეროთ ასეთი რამ, ამგვარი მიზანი არარაობის ტოლფასია იმ მიზანთან შედარებით, რომელიც გულისხმობს ადამიანის სულში ჩადებული ღვთაებრივი საწყისის გამოვლინების. ასეთი მიზანი ყალბია, რამეთუ ის შესაძლებელს ხდის თქვენს სულში ჩადებული „კეთილ საწყისიდან დაშორებას".

ალბათ ღირს ყური მივუგდოთ ბრძენკაცის მორალურ შეგონებას, მართლაც რომ წარმოუდგენელია ბედნიერი მომავლის აშენება, თუ ნებისმიერი პიროვნების ძალისხმევას ქვეყეთხედად ადამიანური ღირსება არ დაედება.

ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲒᲐᲕᲘᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲝᲗ

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲜᲔᲜ

ხახალმო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ხაჭართველოს უზენაესი ხაბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულებით „შრომის ახ ვეტერანის" მედლით დაჯილდოვდნენ:

ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ — ავტომოტოსერვისის საწარმოს ზეინკალი.

ᲘᲡᲔᲓᲘ ᲕᲐᲚᲔᲘᲙᲝᲡ ᲫᲔ ᲑᲔᲠᲘᲐ — ავტომოტოსერვისის საწარმოს მეთუნუქე.

ᲛᲐᲠᲒᲝ ᲜᲘᲡᲢᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲔᲚᲘ ᲑᲐᲒᲐᲗᲔᲚᲘᲐ — საწარმოო გაერთიანება „საქქალაღმრეწვის" მემანქანე.

ᲐᲜᲐᲢᲝᲚ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲝᲜᲓᲐᲠᲔᲜᲙᲝ — ავტომოტოსერვისის საწარმოს ᲐᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲣᲜᲣᲤᲔ.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲝᲚᲣᲑᲝᲕᲐ — ავტომოტოსერვისის საწარმოს ხარატი.

ᲮᲐᲜᲓᲠᲘ ᲓᲝᲠᲝᲗᲔᲣᲡ ᲫᲔ ᲘᲖᲝᲠᲘᲐ — ავტომოტოსერვისის საწარმოს ცეცხლფარეში.

ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲙᲐᲩᲣᲑᲔᲛᲘ — ავტომოტოსერვისის საწარმოს ეულკანიზატორი.

ᲠᲔᲨᲘᲓ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲠᲚᲘᲐ — ავტომოტოსერვისის საწარმოს ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ.

ᲚᲘᲜᲓᲝ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲔ ᲛᲘᲛᲘᲜᲨᲕᲘᲚᲘ — ფაიფურის ქარხნის მუშა.

ᲛᲐᲓᲐᲜᲢᲘ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲣᲙᲝᲠᲘᲐ — სამეცნიერო ცენტრი—ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

ᲕᲐᲟᲐ ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲗᲐᲛᲣᲨᲘᲐ — ავტომოტოსერვისის საწარმოს ოსტატი.

ᲒᲣᲚᲘᲕᲐᲜ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲡᲘᲜᲘᲜᲐᲕᲐ — ავტომოტოსერვისის საწარმოს საწყობის გამგე.

ᲒᲣᲚᲐᲓ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲗᲝᲠᲣᲐ ავტომოტოსერვისის საწარმოს ᲮᲔᲚᲝᲡᲐᲜᲘ.

ᲠᲔᲜᲓᲘᲙᲝ ᲨᲐᲚᲕᲐᲡ ᲫᲔ ᲤᲐᲠᲪᲕᲐᲜᲘ — საწარმოო გაერთიანება „საქᲭᲘᲚᲚᲓᲛᲠᲔᲬᲕᲘᲡ" ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲭᲘᲚᲔᲚᲘ.

ᲖᲐᲣᲠ ᲕᲐᲠᲚᲐᲛᲘᲡ ᲫᲔ ᲨᲝᲜᲘᲐ — ავტომოტოსერვისის საწარმოს ᲝᲡᲢᲐᲢᲘ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ ᲫᲔ ᲩᲐᲠᲒᲐᲖᲘᲐ — ავტოᲠᲝᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘᲡ საწარმოს ᲛᲔᲥᲣᲗᲔᲠᲘ.

ᲕᲐᲟᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲯᲣᲠᲮᲐᲜᲫᲔ — ავტომოტოსერვისის საწარმოს ᲡᲐᲛᲥᲠᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲢᲠᲝᲤᲘᲛᲔᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲯᲝᲑᲗᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ — სამეცნიერო ცენტრი—ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი

ᲠᲔᲖᲝ ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲮᲣᲗᲣᲠᲘ — ავტომოტოსერვისის საწარმოს ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲙᲝᲡᲘ.

ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ

ᲙᲔᲛᲑᲠᲘᲯᲘᲡ უნივერსიტეტის სადისკუსიო კლუბის დაარსების 170 წლისთავთან დაკავშირებით სტუდენტთა წინაშე სიტყვით გამოვიდა „ᲨᲣ" ყოფილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი. მან მოუწოდა დასავლეთს 'დახმარება გაუწიონ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ეკონომიკური ქაოსისა და სოციალური უკმაყოფილების ზრდის აცილებაში. რეიგანმა ხაზი გაუსვა, რომ ჯერ-ჯეროობით რეფორმებს საბჭოთა კავშირში სასურველი შედეგები არ მოუტანია. ეკონომიკის გარდაქმნის ჯერ არ გაუმჯობესებია ხალხის ცხოვრება. რეიგანმა გამოთქვა იმედი, რომ 'საბჭოთა ხალხი გამოიჩენს მოთმინებას დაელოდება რეფორმების ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲡ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციის შენობისკენ რომ მივეშურებოდით, იმედი გვქონდა, რომ განახლებულ შინაგან საქმეთა განყოფილებაში მოვხვდებოდით, სადაც კანონის პატივისცემასთან ერთად დიდ ჰუმანურობასაც ვიგრძნობდით.

ოდნავადაც არ გვეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ პატარა თეონას ამ სალამოს ბიძია მილიციელები თვალებზე ცრემლებს შეუშვრალტდნენ და მის „რეციდივისტ“ მამას, რომელიც ეკმეხნა მილიციელმა უდიდესი ოპერატიულობით დაიჭირა, გამოუშვებდნენ, რათა დედის ნათხოვ მონატრებული ბავშვი მამის მკერდს ჩახუტებოდა.

მე შეგნებულად ვფიქრობ ამ დანაშაულს, რომელიც თეონას მამამ ჩაიდინა, რამეთუ ის ამ დანაშაულთან შედარებით, რომელსაც ჩვენი მილიცია სჩადიოდა და სჩადის, ზღვაში წვეთია, და მითუმეტეს, მის პატარა ისტორიას ის უწმინდესი ზნეობრივი ნორმების შელახვა უდევს საფუძვლად, რაც ქართველებში ოდითგანვე უდიდეს თავმოყვარეობასთან იყო გადაჯაჭვული. ასეთი დანაშაულები არსებული კანონებით ვერ გასამართლდება, მხოლოდ ახალ დანაშაულობებს ჩაეყრება საფუძველი, რომელსაც ყველა გრიადაც ვერ გუმკურნალებთ.

მაინც რა ხდება ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში? ამაზე ზუსტ პასუხს ალბათ უზენაესი დერეფიც ვერ გაგცემს. მაგრამ მოგახსენებთ იმაზე, რაც ზედაპირულად სჩანს და სასუზეა. ესაა სრული განუკითხაობა, უპატივცემლობა პიროვნებისა, ყოველგვარი ეთიკის უხეში დარღვევა და ა. შ.

არადა, როგორ ხვირდება დღეგანდელ ქართულ მილიციას ყოველივე ზემოთჩამოთვლილი.

ნათქვამის ნათელსაყოფად მოკლედ მოვყვები:

მორიგე მილიციელმა, ვინაც გთხოვეთ, გავერკვიეთ იმაში, თუ ვისთვის მიგვეგზავნა თეონას მამის თავდებით გამოშვების სათხოვნელად, მიგვასწავლა შუდულ კუტალიასთან, 6-6 შუდულ მა, ვის მიერაც შედგენილი დაკავების ოქმი, გაგვიმარტა, რომ მან საერთოდ არაფერი იცოდა ამ საქმის შესახებ და ოქმიც არ იყო მისი შედგენილი, თან დამატება, რომ ამ საქმეს ძალიან გამომძიებელი ბარიანი გელხეიძე. როგორც იქნა ვიპოვეთ იგი. ახალგაზრდა სპეციალისტი საერთოდ არ იყო საქმის კურსში და დამარცხა ასევე მილიციაში გამოცხადდებოდა? მით უმეტეს, არავის მოუცია მის დასაკითხად. მაგრამ მაშინ როგორ ეჩვენებინათ ხელწყალი გლეხის ოჯახისთვის, რომ საბჭოთა მილიციას ჯერ კიდევ აქვს ძალა და ზნეობასთან და მორალთან არაფერი ესაქმება. დიახ, ამან მე ძმაბალი გამბრა, და ვამბობ ამასაც, რომ ხანან ყოფილი შემადგენლობა ძირფესვიანად არ შეიცვლება (პაპატიონ ჯეშ ბარიგმა პროფესიონალებმა, თუ

კუკარაჩას „ეემკეჟდრენი“

ზეც ფარით გამოვეიბტუბრა.

მიეგმართეთ შინაგან საქმეთა საქალაქო - რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი ქვეგანყოფილების უფროსს, უკვე მეორეჯერ.

ალბათ დედაინტერესებთ, ვინ არის თეონას მამა. იგი ახალგაზრდა მშრომელი გლეხია, ადამიანი, რომელსაც ყოველდღიური დაუფარული ხელებითა და ოფლით შეუქმნია, რომლის ცხოვრების წესი ამდენად წმინდაა, რამდენადაც პატარა თეონას ამდენინდელმა უმანკო ცრემლებმა, როცა ეკვნა უხეში ხიძინ ასე ადვილად მამის, როგორც ტაცისმკვლელს, ხელბალსმეტელს, როგორც უკანონოდ ავაზაკს.

თეონას მამის ნათესავების ბედაუკუღლებლობა, მიგვეგზავნა განცხადებით, რათა თავდებით გამოეშვათ იგი, ხეორედ ასეთი განუკითხაობა დახვდა. განა რა პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მილიციის მუშაკებისთვის, ხ

გაათენებდა ღამეს დაკავებული, თუ იგი დილით

ოჯახი კიდევ არაა?, ვერ ვეთანხმებ. ეს ახალი კანონი საქმეს ვერ უშველის. და თუ ასე გაგრძელდა, ვინ იცის კიდევ რამდენი თეონას, მაკას, თუ თემურის უმანკო ცრემლი დაიღვრება?

რიგი გვქონდეთ მილიციის განყოფილების ჯ. ზარანდიას ოფიციალური პასუხით ხელში, ცხრა აპრილის ზუგდიდი წარმოიდგა თვალწინ, პირველი მიტინგი მაცხოვრისკარზე. გასროლა ალბათ, ძვირფასო ზუგდიელებო, ჩვენი მილიციის ხელმწიფეა ხაგმირონი...

მის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და როგორ ბგონათ, ოპოზიციის გამარჯვება შეცვლის მით ცნობიერებას? რა თქმა უნდა არა. მხოლოდ ადამიანები და იცვლებიან ასევე წარსულს ეხიოუნებიან.

ბ. ბუწაშა,

სრულიად საქართველოს რუს თავდის საზოგადოების ზუ ბედიდის საკრებულოს წევრი, საქართველოს მწვანეთა პარტიის წევრი.

წერილი აწყობილი იყო დასაბეჭდად, როცა მივიღეთ ცნობა თეონას მამის განთავისუფლების შესახებ. გამოძიებამ სწრაფად დაიდგინა ჭეშმარიტება, მაგრამ ადამიანის ამ ისედაც ხანმოკლე ცხოვრებაში გვაქვს კი იმის უფლება, რომ თუნდაც 3 დღით მოვაშოროთ ისედაც ტრაგიზირებულ ოჯახს მისი უფროსი?

ტოლსტოი: მეოდეთ საკუთარ თავს

თითქოს დღესაა დაწერილი

„...ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ცხოვრების კრიზისი ახლა დაიწყო. ზოგნი იმასაც ფიქრობენ, რომ ეს პროცესი გარდაქმნას უკავშირდება. არა და ეს ასე არ არის. კრიზისმა ჯერ კიდევ ტოლსტოის სიცოცხლეში იჩინა თავი.

„დიახ, — ამბობს ტოლსტოი, — ხალხური შურისძიების კანონი, ყველა იმითი წამებისთვის მოხმობილი, ვინც ამახინჯებს ღვთის კანონს.

მიელი რუსეთი შეძრწუნებულია ამ საშინელებებისგან, რომლებიც მზეცური ინსტინქტების წყალობით ყველგან იჩენს თავს. ადამიანებს ეს ინსტინქტები უბიძგებს ჩაიდინონ ყველაზე საშინელი, უაზრო მკვლელობები...

საშინელ მდგომარეობაშია რუსეთი. მაგრამ ყველაზე საშინელი როდი გასულა მისი მატერიალური მდგომარეობა, მრეწველობის ჩამორჩენა, არც მიწათმოქმედების კეთილმოწყობილობა, არც პროლეტარიატი, არც ფინანსური მოშლილობა, ამბოხებები, ძარცვები. და არც რევოლუციი. საშინელებაა ის გონებრივი, ზნეობრივი დაბრმავება, რაც საფუძვლად უდევს ყველა ამ უბედურებას. საშინელება ისაა, რომ რუსი ადამიანების უმრავლესობა ცხოვრობს ყველასათვის საყალდებულო ზნეობრივი, თუ რელიგიური კანონების გარეშე. ერთნი ადიარებენ და მისდევენ რელიგიის მიერ უარყოფილ ძველებურ წარმოდგენებს, აბრისაგან დაცლილ ცნებებს, ხელმძღვანელობენ მხოლოდ საკუთარი ინტერესებით და გემოვნებით. სხვანი კიდევ საერთოდ ჩაბიბიდან ოფარ თვლიან არანაირ აღმსარებლობას. ანუ, რომ რუსეთში მოქმედ ადამიანთა უმრავლესობა, მსჯელობს რა იმაზე, თუ რაშია საზოგადოების ხიკეთე. ძირითადად ხელმძღვანელობს მხოლოდ საკუთარი, ეგოისტური, თითქმის ცხოველური სურვილებით“...

ძნელია იმის დაჯერება, რომ ეს სიტყვები დაიწერა 80-წლის წინათ. ესეიგი, გამოდის, ჩვენ მთელი საუკუნე გტკეპნიდით ერთ ადგილს. ტკბენდა ჩვენი სახელმწიფოებრიობა, ჩვენი ფილოსოფია, ჩვენი რელიგია, და თ, ასეთი მდგომარეობის შედეგია: ყველანი დაიღალნენ ამ უაზრო რელიგიისაგან. რა ვიწამოთ? — ყვირის უფროსი თაობა. ვინი გვჯეროდეს? — გეძახიან ახალგაზრდები.

„ეწდეთ საკუთარ თავს!“ — გვმოძღვრავს ტოლსტოი.

„...ეწდეთ მხოლოდ საკუთარ თავს, — ამას უნერგავდა იგი ბიკვდილის წინ ახალგაზრდობას. ნუ შეგეშინდებათ, თუკი თქვენს შეხედულებებს ერგელივ მყოფნი არ გაიზიარებენ, ოღონდ თქვენი ეს უფლებრივება არ უნდა გფუძნებოდეს თქვენს პიროვნულ სურვილებს, არამედ იმის ღრმა შეგნებას, რომ თქვენ თქვენი დანიშნულება გაქვთ ცხოვრებაში. ამასთან უნდა დაიყვეთ ამ ძალის ნებას, რომელმაც გზა მოგცეთ თქვენ ცხოვრებისაკენ. ეწდეთ საკუთარ თავს განსაკუთრებით მაშინ, როცა პასუხები ცხოვრებისეულ კითხვებზე დასტურდება ადამიანური სიბრძნის მარადიული საწყისებით. ამ ცნებებით, რომლებიც გამოხატულია ყველა რელიგიურ მოძღვრებებში და უპირველეს ყოვლისა, თქვენთვის ეგზომ ახლობელ ქრისტეს მოძღვრებაში...

ეწდეთ საკუთარ თავს და იცხოვრეთ ისე, რომ მთელი თქვენი სასიცოცხლო ძალები მიმართული იყოს უმთავრესი სიკეთის: საკუთარ თავში ღმერთის გამოვლენისაკენ. ამით თქვენ შეძლებთ მაქსიმალური სიკეთის მოტანას როგორც საკუთარი თავისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის.

დიახ, ეწდეთ საკუთარ თავს ამ უფრესად მნიშვნელოვან ეპოქს, როცა თქვენს სულში პარადოქსალ აინთება ოთხასწლიანი წარმომავლობის შეგნების შუქი. ნუ ჩაიჭრობთ ამ შუქს. პირიქით, ყოველნაირად გაფურთხილოთ და გაალვიეთ იგი. მხოლოდ ამაშია ერთადერთი დიდი და ხასიხარული აზრი ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლისა“...

„ლიტერატურნაია გაზეთა“, № 46, 1990 წ.

კანონის კომენტარი

სარედაქციო ფოსტაში შემოსულ მრავალ შეკითხვათა და წერილთა უმრავლესობა ამჯერად ახალ საპენსიო კანონთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხთა განმარტებებს ეხება. ხელმღობრ მკითხველებს უნდათ იცოდნენ ვის მოემატა პენსია მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან და რა ცვლილებები მოხდება მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფაში უახლოეს მომავალში.

ვინაიდან ახალი საპენსიო კანონი ძალიან რთული და მრავალისმომცველია, დღეს მხოლოდ ამ ავტორებს ვუპასუხებთ რომლებიც 1990 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედი კანონის ზოგიერთი საკითხის განმარტებას გვთხოვენ. ხოლო შემდგომში გესაუბრებით იმ სიახლეებზე, რომელიც მოსახლეობის დიდ ნაწილის საკეთილდღეოდ 1991 წლის 1 იანვრიდან განხორციელდება.

რამდენიმე ტიპიური სახითით შეკითხვას განმარტავს საქართველოს სოციუზრუნველყოფის სამინისტროს სამართლებრივ-ორგანიზაციო-მეთოდური მუშაობისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი ირინე ღლონტი.

კითხვა: მოქალაქეთა რომელი კატეგორიის მიმართ შევიდა ძალაში 1990 წლის 1 ოქტომბრიდან „მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის კანონი?

პასუხი: 1990 წლის 1 ოქტომბრიდან კანონი ძალაში შევიდა: ომის ინვალიდებისა და მათთან გათანაბრებული ინვალიდებას მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ სამამა მოქმედებაში ინტერნაციონალური მოვალეობას შესრულებისას;

იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც მუშაობდნენ მოქმედ არმიაში თავისუფალ დაქირავებულთა შემადგენლობაში;

ბლოკირებულ ლენინგრადის მშრომელებისა და მცხოვრებთა მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩამოთვლილ პირთათვის დანიშნული პენსიები უნდა გადასინჯულიყო ახალი სტატისა და

ახალი კანონის შესაბამისად მოხდება.

კითხვა: ვარ სამამული ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, ასაკთა პენსია დანიშნული მაქვს 1970 წლის 1 ხექტემბრიდან, პენსიის მიღებამდე ჩემი ხელფასი მხოლოდ 90 მანეთს შეადგენდა, მქონდა 35 წლის საერთო და 25 წლის უწყვეტი სტაჟი, რითაც პენსია მეძლეოდა თვეში 127 მანეთისა და 21 კაპიკის ოდენობით. გთხოვთ განმიმარტოთ რამდენი მანეთით უნდა განსაზღვრულიყო ჩემი პენსია 1990 წლის 1 ოქტომბრიდან?

პასუხი: შეკითხვაში აღნიშნული ომის ინვალიდებს დაენიშნოთ ინვალიდობის პენსია ასაკის პენსიის ოდენობით?

პასუხი: ასეთი უფლება აქვთ მხოლოდ პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, რომელთაც გააჩნიათ ასაკის პენსიის დასანიშნად საჭირო შრომის სტაჟი და ამ შემთხვევაში ინვალიდობის პენსია იგივე ოდენობით დაინიშნება, როგორც კანონი თანახმად მამაკაცებისათვის 60, ხოლო ქალებისათვის 55 წლის შესრულების შემდეგ არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება დანამატებს, წინა ასაკის ნორმით გამოანგარიშებულ ინვალიდობის პენსიას ან

ეს სიახლეა

ინვალიდობის ინვალიდობის პენსია ასაკის პენსიაზე არარული სტაჟით, თუ ადრე მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მას საჭირო შრომის სტაჟის უქონლობის გამო არ ჰქონდა ამ პენსიის მიღების უფლება?

პასუხი: დიახ, შეიძლება, თუ პენსიის გამოანგარიშების ასეთი ვარიანტი უფრო სასარგებლო იქნება ინვალიდისათვის.

კითხვა: როგორი ხანგრძლივობით ითვლება შრომის სტაჟში 1990 წლის 1 ოქტომბრიდან სამამული ომში ეროვნის პერიოდი?

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ული პირობების მიხედვით 1990 წლის 1 ოქტომბრიდან თქვენი პენსია უნდა იყოს თვეში 262 მანეთი და 71 კაპიკი.

კითხვა: შეიძლება თუ არა

ომის ინვალიდობის პენსიას არ უწესდება.

კითხვა: შეიძლება თუ არა 1990 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედი კანონით ომის ინვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონის კომენტარი

ეს სიახლეა

(დასასრული)

პასუხი: სამამულო ომში ან მოქმედ არმიაში ყოფნის პერიოდი ოცის მონაწილეებს სტაჟში ეთვლებათ სამმაგი ოდენობით.

კითხვა: ვარ 72 წლის, მარჩენალი მეუღლე ფრონტზე დაიღუპა, შემეხება თუ არა ახალი კანონით პენსიის გადაანგარიშება?

პასუხი: დიახ, შეგეხებათ, თუ პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო გაქვთ დანიშნული, მაგრამ თუ საკუთარი შრომის პენსიას იღებთ იგი გაგიდიდდებათ 1991 წლის 1 იანვრიდან.

კითხვა: ეხებათ თუ არა პენსიის მომატება საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერებს, რომლებიც ომის მონაწილეები ან ინვალიდები არიან და ვის უნდა მიმართონ პენსიის გადიდების თაობაზე?

პასუხი: პენსიის მომატება ომის მონაწილე პერსონალურ პენსიონერებსაც ეხება, საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურმა პენსიონერებმა, თუ აქამდე არ მიუმართავთ პენსიის გადიდების თაობაზე, დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც გამოუანგარიშებენ პენსიის ახალ ოდენობას (აღსანიშნავია, რომ იგი შეიძლება მეტი იყოს პერსონალური პენსიის ოდენობელ მაქსიმუმზე), მისცემენ სათანადო ცნობას, რომელიც უნდა წარადგინოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პერსონალური პენსიების განყოფილებაში (წერეთლის პრ. №144, მესამე სართული), რის შემდეგაც აღნიშნული განყოფილება უზრუნველყოფს ამ საბუთის სათანადო ინსტანციაში გაგზავნას და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პენსიის ახალი ოდენობით გაცემას.

კითხვა: ვარ სამამულო ომის მონაწილე ქალი. ექიმი. გავზარდე ოთხი შვილი. შვილების აღზრდის გამო გარკვეული პერიოდი ვერ ვიმუშავე. მაქვს თუ არა ახალი კანონით რაიმე შეღავათი შრომის სტაჟის გამოანგარიშების დროს.

პასუხი: გაქვთ გარკვეული შეღავათი. სახელდობრ, ის პერიოდი, როცა ზრდიდით შვილებს და არ მუშაობდით. გეთვლებათ შრომის სტაჟში, ოღონ რამ არა უმეტეს 6 წლის ხანგრძლივობით.

ირინე ლლონტი,
საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობისა და პროგრამების განყოფილების უფროსი.

რედაქტორი
ა.ა. ჯანტურია.

კომუნალური ბინების რიგში მყოფთა

საყურადღებოდ!

1. ზუგდიდში სახლთა პირობების გაუმჯობესების მიზნით კომუნალური ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა საბინაო პირობების გადამოწმების და აღრიცხვიანობის ახალი სიების დაზუსტებასთან დაკავშირებით რიგში მყოფმა ყველა მოქალაქემ მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. ცნობა საბინაო პირობების შემოწმების შესახებ ფორმა №1.

2. ცნობა ტექაღრიცხვის ბიუროდან გერიცხებით თუ არა პირად საკუთრებაში სახლ-კარი.

3. ცნობა არქიტექტურიდან სამოსახლო მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე.

4. ცნობა საპასპორტო მაგიდიდან ქ. ზუგდიდში მუდმივი ჩაწერაზე თარიღის მითითებით.

5. ცნობა სახლმმართველობიდან გერიცხებით თუ არა კომუნალური ან კოოპერატიული ბინა.

6. ცნობა სამუშაო ადგილიდან.

7. ოჯახმყოფთათვის ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

ზემოთადნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქე 15 დეკემბრის შემდეგ ამოირიცხება სიიდან და შემდგომ მათი პრეტენზიები არ მიიღება.

„ბრძოლა მაგიდისა" და
საზოგადოებრივი საბაჟო შეკვნილი კომისია.
კომუნალური მეურნეობის განყოფილების
საბინაო კომისია.

შვილები: ტანია, ხუტა გელენავები, დები: მარო, ლუბა. ფოტია, შვილიშვილები გენო. ეფრა. თემური, მერაბი, ინგა. ეზო. გიგლა. ლელა. ნანა გელენავები. ანზორ, აზა ბასილიები, სიძეები ალექსანდრე ბასილაია, ზაზა ძიძიგური, ვალიკო დარსანია, რძლები: თალიკო აშუბა. შურა, ფედოსია გულუები. ზინა ნარსია, თალიკო ზანთარაია. ლამარა სიქინავა. ნათელა ჯიქია, ლიდა, ირა გელენავები, მაზლშვილები შოთა. კაოლო, რეზო, პარტიკო, მარგო გელენავები, დისშვილები ალიოშა, აიგენგო. თაბაზი, ბადრი, კლარა, გული, ნელი, დოდო, ლალი. დოდო, ძმისშვილები: იურა, ფრიდონი. რაფიელ. როლანდი გულუები იუწყებიან

ლენა (ბაი) ეხტატეს ახულ გაბელია-გელენავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12 დეკემბერს. დაკრძალვა 13 დეკემბერს ორსანტაში.

დები: ჭრავაში, ფენია. გული. მამადა თებრო ძიგუა, დეიდა ქუჩუნი კანკავა, სიძეები: კოკი ყვარაცხელია, შერო ჩხაველია, თამაზ ბუთბაია, დისშვილები: დემური, გულნაზი. ლელა ჩხაველები, ფრიდონი. ლეილა, რამაზი. თამაზი ყვარაცხელები, მამიდაშვილები: მიშიკო. ვარდიზა, ბელიმა. ციალა ძიგუები, ბიჭიკო ჭარჩავა, ანზორ გაბედავა. ბიძაშვილები: გურამი. ლუიზა ხასიები, დეიდაშვილები ლუიზა, ანზორი კანკავები, მიშიკო, ნოე. ვენერა. ცოტული მაქაცარიები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ვალენტინა (ვალია) ბესარიონის ასულ ხასიას

გარდაცვალებაზე. პანაშვიდი 12, 13, 14 დეკემბერს. დაკრძალვა 15 დეკემბერს 5 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. წულუკიძის 22.

ენგურჩაღალდკომბინატის საწყვეტისა და საცალო ვაჭრობის გაერთიანების კოლექტივი იუწყება, რომ გარდაცვალა ნუნუ მამანტის ასული ოკუჯავა ოა საძძმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის რაიონის საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანების კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება

დავით აკაკის ძე დარასელიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე დათიკო. შვილები ანგელა, ფერდინანდი, ფრიდონი, და ბგრაფინა, ძმა იროდი ფაცაციები, მული ლიდა ქირია, მაზლი ბოჩო წირღვავა, რძლები ლონდა ფირცხელავა, მარინა შელია, ეთერ წირღვავა, ქსენია, ნორა, ნელი ფაცაციები. სიძე დავით სახურია, შვილიშვილები: ირინე. რუსიკო. მარიკა, ოფელია, ოქსანა, სალომე, ფიქრია ქარიები, დისშვილები ბედიშა, ნელა. მიმოზა, ლუარა, ოდა. ვაჟა ჩახაიები, ძმისშვილები: ალბინა. ინოლა. ზოია. ქეთო, იუზა. ფელიქსი. ნუგზარი. ანატოლი. დავითი. ვეფოდი. ანზორი. აბესალომ, ბორისი ფაცაციები, მაზლაშვილები, მზახლები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ვენერა (ფაციკო) ხამსონის ასულ ფაცაცია-ქირიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13, 14 დეკემბერს. დაკრძალვა 15 დეკემბერს სოფ. ცაიშში (ცაცხვი).

შვილები: ნონა, თამაზი, შვილიშვილები: ეკონომრა, სოფიკო ბუტიკაშვილები, სოფიკო, თამრიკო. ირაკლი ესუბუები, დები ნორა, როზა. რძლები: მაია გაბედავა, შურა. ნინა უბილავები, სიძეები თამაზ ბუტიკაშვილი, ვალიკო თოდუა, დისშვილები: მზიური, ნანული, მალხაზი, მურთაზ კვანტიანები, ბელა თოდუა, ცოლისძმები: აკაკი, აპოლონ უბილავები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ივანე (ვანიჩკა) ჭიჭიკოს ძე ეხებუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 დეკემბერს. დაკრძალვა 15 დეკემბერს 4 საათზე, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, გაგარინის ქ. 41.

მული აგრაფინა, შვილიშვილები: ნუცა, ნანული. ნელი. გაკონა. გივი ჯაიანები თავიანთი ოჯახებით იუწყებიან

ფენია ლავრენტის ასულ სამუშია-ჯინჯოლავას

გარდაცვალებას.

ბორისი, რეზო და არგელოდი სამუშიები იუწყებიან ბიძაშვილს

ფენია ლავრენტის ასულ სამუშია-ჯინჯოლავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ოლგა, შვილი ანზორი, მამა აველოდი, დედა ანტისა, ძმები: გასა, ვახტანგი, ბაჩა, რძლები: რაია, ელისო, ძმისშვილები: ლევანი, ნანა. სიდედრი ზინაიდა, სიმამრი ნიკოლი ბარანოვსკი, ბიძები, ბიძაშვილები, დეიდები. დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ანზორ აველოდის ძე ყვარაცხელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12 13, 14 დეკემბერს. დაკრძალვა 15 დეკემბერს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, გრიბოედოვის ქ. №32.

შვილები: ნოდარი. ნათელა, ციალა, გურამი, ზაური, რძლები ეთერ ჯიქია, ლიანა კუპრავა, ნანული ფალიანი. სიძე როლანდ ქირია, შვილიშვილები: ბესიკი, ზვიადი, ნინო ქობალიები, ლელა. როინი ქირიები. ძმისშვილი შოთა ქობალია, დისშვილები: შალვა, ლეო, ეთერა. ანტისა თინა ჯიკონაები, ცოლისდა თამარა ბულია. მაჭიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ბესარიონ პავლეს ძე ქობალიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14 დეკემბერს. დაკრძალვა 15 დეკემბერს სოფ. ყორულელში.

დედა ზინა, მეუღლე ზაარა ქადარია, შვილი ანზორი. ბიძები: ზალო, ეჭირი. ბოჩია, დები: ნანული. გულნაზი ქარჩავები. რძლები: ფატმა ოყუჯავა, ლეილა მოლაშია, მანანა კუპრაშვილი, სიძეები: გონელი მორგოშია, გულვერ დარასელია, დეიდა ქსენია ტიბეი ოჯახებით იუწყებიან

რეზო ბუხუტის ძე ქარჩავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13, 14 დეკემბერს.. გამოსვენება 15 დეკემბერს 16 საათზე. გაგრის რაიონი, დაბა ლესელიძე. მშვიდობის ქუჩა 3.

ლიანა, ნარგიზა, კოტე, ჭემალი. თემური. ზურაბი ბესო ბურდულები, ჭითო ლურწყია. დინარა მალაშავა, ამარან გოგობია ოჯახებათ იუწყებიან სამძიმრ

რეზო ივლიანეს ძე ნუკრავას

გარდაცვალებას.

ნიდედრი თამარი, ცოლისდები: ვალია. თამალა, ლორა ქადარიები, ქვაესლი ჭემალი ყვარაცხელია ოჯახით იუწყებიან

რეზო ბუხუტის ძე ქარჩავას

გარდაცვალებას.

დედა ეკატერინა, მამა ლავრენტი. მეუღლე ვალიკო. შვილები: ნატო, ზაური ჯინჯოლავები. დები ვალენა, ნუცა. ძმა მიშა, რძლები: ნინო ქათამაძე, მარიკა ჯოჯუა. ნორა ფიფია. ლუდმილა ქარდავა, ეთერი ნამიჭეიშვილი, სიძეები ანზორ ტაბაღუა, ბესიკ ალიმბარაშვილი, ვალერ გაგუა, ეუგრაფ სამუშია, ირიდი ფიფია, შვილიშვილები: ნინო. ნათია, ვალერი. სოსო ჯინჯოლავები. მინდია ტაბაღუა, შვილთაშვილები გვანცა, ქუჯი, ძმისწულები: დოდო, ჭიბო სამუშიები, მულები: აგრაფინა. გალინა, ლორა, მაზლები: დათიკო, ბალადი ჯინჯოლავები, მზახლები ფოთო ტაბაღუა, ციალა. შოთა ქათამაძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მულიშვილები, მაზლიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა

ფენია ლავრენტის ასულ სამუშია-ჯინჯოლავა.

პანაშვიდი 12, 13, 14 დეკემბერს. დაკრძალვა 15 დეკემბერს 4 საათზე, გამოსვენება ზუგდიდი, დარასელის ქ. 3.

მეუღლე ჩუხუ. შვილები: ეთერა, ტუტუ, ეფრა, რეზო, ლამარა, ზოია კორდღელიები, ძმა გაჯი, დები ნადია, მარო. ქეთინა. რძლები- ნათელა, ნუნუ, ეიმზე, ციალა, სიძე გერმანე ჭიჭინაძე, შვილიშვილები: ლოთი, მზია, გოდერძა, გულნაზი, ლილა, კობა, ბაატა. პაპუნა, გეფხვია, ნანა, მადონა კორდღელიები, აბისალომი, ხათუნა, ბესიკი, ბეჟანა, როზეტა ჭიჭინაძეები, ძმისშვილები და დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა

შალიკო ეგნატეს ძე კორდღელია.

პანაშვიდი 13, 14 დეკემბერს, დაკრძალვა 15 დეკემბერს. გამოსვენება 4 საათზე საწეგრელის ქ. 24.

ქ. ზუგდიდის მოზრდილთა პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან პოლიკლინიკის ექიმის

ალბერტ

დავით აკაკის ძე დარასელიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილება, განათლების მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის რაიკომი თანაუგრძნობს ამალია ქირიას დედის

ვენერა (ფაციკო) ხამსონის ასულ ფაცაცია-ქირიას

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ბაბუცა. შვილები ციალა. ნახო. ნონა. კოლა. რეზო. და ლუნა, ძმები: შოთა. ოთარი. რძლები: ციანარა ქარჩავა, ციალა ჯაბუა, ფიქრო ლატარია, შვილიშვილები ბეზო. ზვიადი, დათა ქვარაიები, ინდირა, ჯამბული, ჯონი დარასელიები, მედეა, თეა, ეკა ქანთარიები, გელა. ზურიკო ანთაიები, სიძეები ბიჭიკო დარასელია, რამაზი ანთია, ძმისშვილები: ჯანიკო, მანანა, ციცინო, ნატო. ავთო, დისშვილები: ეზო. მზია. რევაზი ხუფენები, თოთოშა, ნანო. ქეთო. ჭემალი ჯაბუები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

დავით ბლატონის ძე ყვარაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13, 14 დეკემბერს. დაკრძალვა 15 დეკემბერს სოფ. ჭითაწყაროში.

მეუღლე ტატიანა კვესელავა, შვილი თეჭური, შვილიშვილი გიორგი, დები: თინა, ვენერა, ძმა ბიჭიკო, რძლები: ლიანა, ცეზარი, ძმისშვილები ეკა, ანა, ლაშა, სიძეები: პალიკო კვარაცხელია, ღულუნა ფაცაცია, მამუკა თოდუა, დისშვილები: ბორისი, ენვერი ყვარაცხელიები, ალექსანდრე ფაცაცია, სიდედრი ანაჩკა კვესელავა, ცოლისძმები: აბესალომ, ნოდარ კვესელავები, მზახლები ეენია, დავითი ჭყონუები, ბიძა ბოჩია ჯოჯუა, დეიდები შურა, თინა ჯოჯუები, ბიცოლები: შურა, მერი, ჯოჯუები, ბიძაშვილები ანდაანდნა, ბუძღუ, ვალერიანე დარასელიები, დეიდაშვილები ნათელა, ლამარა, ნოკოლი, ჯონა, რეზო, ტარიელ ხვიტიები. მამიდაშვილები, ბოჩო, ლოტო გუგუჩიები, იუწყებიან

დავით აკაკის ძე დარასელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13, 14 დეკემბერს. დაკრძალვა 15 დეკემბერს 16 საათზე, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, შალვა დადიანის ქ. 17.

მზაბალი ფოთო ტაბაღუა შვილებით: ანზორი, ლიმერი, რეგაზი, ანა. რძლები ნატო ჯინჯოლავა, მარიკა ჯოჯუა, შვილიშვილებით მინდია და ქუჯით იუწყებიან

ფენია ლავრენტის ასულ სამუშია-ჯინჯოლავას

გარდაცვალებას.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80. რედაქტორის მოადგილის 2-23-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-75 მშრომელთა წერილების 2-25-12. რედაქტორეფერენტის 2-47-09

საქ. ბეჭდვახაკობის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. №5173